

დამტკიცებულია თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილებით (სხდომა №20, 18.06.2009 წ.)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი – კახაბერ ლორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კანცელარიის დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

შევიდეს ცვლილება კანცელარიის დებულების მე-3 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3. კანცელარიის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

2. კანცელარიის უფროსს თსუ-ის რექტორის რეკომენდაციით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. კანცელარიის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს კანცელარიის უფროსის მოადგილე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

5. კანცელარიის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: კანცელარიის უფროსი, კანცელარიის უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი (2), უფროსი სპეციალისტი (3), სპეციალისტი (3). კანცელარიის თანამშრომლები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და წარმართავენ თავის საქმიანობას სამსახურებრივი ინსტრუქციებისა და თანამდებობრივი მოვალეობის შესაბამისად.